

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის ო დასლდის ცხოვრათათვის. იოან. 10—11.  
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყემდული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოველით ჩემდა ყოველი მაშურანი და ტვირთ-მძიმენი და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

## ეკლესიაში კითხვის შესახებ.


ერთ უმთავრეს მიზეზად, რომელიც გულს უგრძობებს ეკლესიაში მლოცველთა წირვა-ლოცვის მოსმენაზე, ჩვენ მივიჩნია საეკლესიო ღვთის მსახურების წიგნების სუსტად და დუღევრად კითხვა. ამისათვის მეტი არ იქნება, რომ ორიოდესიტყვა ესთქვათ საეკლესიო წიგნების კითხვის შესახებ.

ღიადი მნიშვნელობა ეკლესიაში კითხვისა მდგომარეობს იმაში, რომ ის შეადგენს ღვთის მსახურების შესაძნევე ნაწილს, რომელიც არის გამოხატველი ჩვენი სულიერი ერთობისა ღმერთთან. ცხადია აქედან, რომ საეკლესიო კითხვა უნდა იყოს საუკეთესო და სრული, რამდენადაც ღმერთი მალაღობა ყოველსა ზედა და რამდენადაც ჩვენი დამოკიდებულება ღმერთთან უნდა ყოველისფერში აღიბეჭდოს საუკეთესო ღირსებითა და თვისებებით.

ღმერთთან უნდა ყოველისფერში აღიბეჭდოს საუკეთესო ღირსებითა და თვისებებით.

თუ კი ამა ქვეყნის დიდებულთა და მეფეთა წინაშე გზავნიან ხოლმე წარმომადგენლებს, თავიანთი სურვილებისა და თხოვნის გამოხატველად, რომლებიც საუკეთესოდ ასრულებენ ამ მინდობილებას, მით უმეტეს საუკეთესოდ უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ეკლესიის წარმომადგენელნი, რომელთაც მრავალი ხალხის გრძნობა და ვედრება უნდა აღამაღლონ მეფეთა მეფის წინაშე, წინაშე ღმერთისა და მასთან მდგომარეობა—ღვთისმშობლისა და ყოველთა წმიდათა წინაშე.

საეკლესიო კითხვა—ეს ღვთის საქმეა, წინასწარმეტყველი ღვთისა და მასთან მდგომარეობა—ღვთისმშობლისა და ყოველთა წმიდათა წინაშე.





კეთილი მკითხველნი გულმოდგინედ უნდა მსახურებდნენ ღმერთსა.

მაგრამ, როგორ უნდა შესარულონ ეს დიადი და წმიდა მოვალეობა საეკლესიო მწიგნობრებმა? რითი უნდა ხელმძღვანელობდნენ იგინი?

ეს დიადი და წმიდა საქმე უნდა საესებით სრულდებოდეს. გარნა ყოველივე უნაკლული საქმეს აქვს საფუძურები, რომელნიც მიიყვანენ მას სრულ სისრულემდინ. აგრედვე თავის თავად ცხადია, რომ საეკლესიო კითხვაც სხვა-და-სხვა ღირსებისაა: ცუდი, დაუდგარი, ხან-და-ხან უწყესიც, რომლისათვისაც დანაშაუვნი სასტიკად დისჯებიან.

საეკლესიო ქართული კითხვის ხარისხები უმეტესად შესამჩნევი მხოლოდ სამია.

პირველ ხარისხოვნება კარგი საეკლესიო კითხვისა მდგომარეობს შეუფლამვე კითხვაში. ცხადია, რომ ნიშნებსაც უნდა დიდი ყურადღება ექცეოდეს, მიმზეხედ ცოტათი უნდა შეჩერება, ორ წერტილზედ უფრო დიდხანს, როდესაც კი რამე ერთიანი საკითხი თავდებო მაგ. (ფსალმუნნი) და რომელსაც რამე გალობა ან კვერქსი უნდა მოყვებს, საჭიროა უკანასკნელი სიტყვების გაგრძელება და გალობით წარმოთქმა.

აუჩქარებლად კითხვის დროს, შესამჩნევი ღირსებაა. აუჩქარებლობას თხოულობს, როგორც კითხვის მექანიკა, ისე მსმენელთა ყურადღება.

ყველამ იცის, თუ როგორი ძნელი შესათვისებელია სწორი კითხვის მექანიზმი, რადგანაც ამისათვის საჭიროა ყოველივე ასოს გარჩევა, მერე სიტყვად შეერთება, მერე გონების ზედგავლენითა და ხმოვანი ორგანოების საშუალებით წარმოთქმა. ყოველ სიტყვას მოსდევს მეორე, მესამე, მეოთხე... არა ნაკლები მუშაობა სჭირდებათ მსმენელთაც, რომელნიც ლოცულობენ საეკლესიო მწიგნობრის კითხვის დროს.

კითხვის აუჩქარებლადს სასარგებლოა თვით მკითხველისათვის, რომელსაც ამითი საშუალება ეძლევა თავის დროზედ შესვენებისა, განსაკუთრებით, როდესაც გრძელი საკითხავია. ასეთივე მკითხველი თანდათან ეჩვევა გარკვეულ და სხარტულ კითხვას.

პირიქით, მწიგნობარი, რომელიც ჩქარა კითხულობს, თანდათან იპარავს სიტყვებს და მთელ წინადადებებს, ასე რომ იგი ვეღარ ახერხებს სწორ კითხვას, რადგან ის კი არ კითხულობს, არამედ

ბარბანის ჯოხივით ათამაშებს ენას წიგნზედ, რომლის დროსაც ისმის დაუსრულებელი ბუბუნნი, ეს ვერედ წოდებული „დიაკვნური“ კითხვა, უაზრო, რომელზედაც თვით ამისთანა უბედურნი მწიგნობარნიც კი იტყვიან ხოლმე: გამოგრეკე სამრეკლოდნ ჭ მორჩა!.. მაგრამ კაცის ამგვარად სპილენძის საეღერელად გახდომა სირცხვილია და ცოდვაც არის. უფრო ცოდვაა კიდევ იმის თქმა, რომ ენა გაფუჭებულია და არ შეუძლია სწორა წაკითხვა „მამაო ჩვენო“-სი და „მრწამსი“-საც კიო.

პირველი გაბრთხილება ენა მოტეხილობის წინააღმდეგ—ზეპირად არ უნდა კითხულობდეთ, არამედ წიგნში გარკვეულად და თანაც გალობით.

საეკლესიო კითხვა გალობითი ხმით მიტომ უნდა სწარმოებდეს, რომ ამას თხოულობს თვით საეკლესიო ღვთის მსახურების წესი, რომელსაც ბევრი საგალობლები აქვს. აგრეთვე საჭიროა, კითხვა ერთ ღონეზე მიდიოდეს, თუ ხმაძალა დაიწყო მწიგნობარმა კითხვა ერთ ხმაზედ უნდა გააგრძელოს, საჭიროა მლოცველთა რიცხვსაც მიექცეს ყურადღება, რადგან ორი კაცისათვის და ათასისათვის ერთნაირად არ შეიძლება წაკითხვა. დიდ მარხვაში და გარდაცვალებულთა დასაფლავებაზედ უნდა სხვა ნაირად კითხებოდეს და დიდ ღღესასწაულებზედ კიდევ სხვანაირად.

რომ საეკლესიო კითხვა ზომიერად მიდიოდეს და ერთნაირად ესმოდეთ წაკითხული, როგორც ახალგაზდათ ისე მოხუცთ, ამისათვის მწიგნობარი ამაღლებულ ადგილას უნდა იდგეს, რომლებიც კი ცოტას მოიყრუებენ, ისინი ახლოს უნდა დადგნენ მწიგნობართან. ეკლესიაში სიჩუმეს არაფერი არ უნდა არღვევდეს, რაცა ძლიერ საჭიროა კითხვისათვის, განსაკუთრებით კი, როდესაც იგი საეკლესიოა.

მეორე ხარისხი კარგი კითხვისა არის აზრიანობით კითხვა, ესე იგი წაკითხულის გაგება. ასეთ კითხვაში განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს ღვადაკურ ხმის აწევას გრძობიერ ადგილებში. აზრიან კითხვის დროს ყოველ შესამჩნევე ადგილს განსაკუთრებული კილო ეძლევა. ღრმა მწუხარება, მხიარულება, ყველა ეს მკითხველის ხმაში უნდა ნახულობდეს შესაფერ გამოხატულებას. გარდა აზროვნული კითხვისა, საჭიროა მკაფიოდ გამოთქმა.

აზრიანი კიოხვა იმდენად ხელმისაწვდენია, რომ დაბალ სკოლების უფროსს განყოფილებებშიდაც კი ასწავლიან მას, მით უმეტეს საშუალო სკოლაში, სადაც სწავლაც შეუძლებელია, თუ ამნაირი კიოხვა არ იცო.

ეკატელსია არის კეთილ-მორწმუნეობის სკოლა. ამიტომ აზრიანი კიოხვის მოთხოვნილება მწიგნობართაგან არის არსებითი: პავლე მოციქული ამბობდა, რომ უმჯობესია 6 სიტყვა სთქვა გაგებით, ვიდრე 1000 გაუგებრათ. თუ კი მკითხველი ვერ იკებს წაკითხულს, მაშინ იმისთვის ძნელია გასაგებად გამოთქმა. აქედან ცხადია, რომ აზრიანი კიოხვის სათვის მწიგნობარს კირდება დიდხნის მომხადება, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.



### უფშ. სინ. ჟონებრივი მართველობისაგან.

უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრის მეორე მუხლის ძალით, ამა წლის 3 ივნისიდან, დადგენილია: «დადგინდეს ორ-პროცენტისანი გამორიცხვა საქმედგელო და საეკატელსიო მსახურთა ჰენსიიდან, ხაზინის სასარგებლოდ. იმ კრებულთაგან, რომლებიც სახელმწიფო ფულებს არ ღებულობენ, 6 მ. წელიწადში მდგელს გადასდეს, 3 მ. მთავარ დაჯენებს და 2 მ. შედგუთნეთ». ამისათვის უწ. სინოდის ობერ-პროკურორის, ფინანსთა მინისტრის და სახელმწიფო კონტროლერისაგან, შემუშავებულია შემდეგი წესდებები, რომლებიც უწ. სინოდმა მოიწონა და რომელნიც უზენებენ წეს-რიგს ამ ფულის შეკრებისას.

I—წერილმანი ხარჯების ასაცილებლად, 3 ივნისის დაჯენილების ძალით ფულის მო-

კრებისა, დიდან ამ კანონის გამოქვეყნების შემდეგ, ის შედის ძალაში მომდინარე წლის 1 ივლისიდან.

II—სახულიერო კონსისტორიებმა ამ ქამადგე უნდა წარუდგინონ საკონტროლო. ზალატებს იმ კრებულთა სია, რომელნიც ხაზინიდან არ იღებენ შემწეობას, და რომლებმაც აღნიშნული ფული უნდა გადასდონ, და ამის შემდეგ უოველ ნახევარ წელიწადში უნდა აცნობონ ხოლმე საკონტროლო ზალატებს, თუ რა ცვლილება მოხდა ამ ნახევარ წლის განმავლობაში, კრებულთა მდგომარეობაში, რომელნიც სახელმწიფო შემწეობას არ ღებულობენ: ხსალ კრებულთა დაარსებაზედ, რომლებმაც აღნიშნული გადასახადი უნდა გადასდონ, ზოგიერთ კრებულთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოსახენად.

III—აღნიშნული გადასახადი უნდა შეტანილ იქნეს ხაზინაში ორჯელ წელიწადში, ნახევარ-ნახევარ წლობით, პირველი ნახევარი კრებულთ შექეთ არა უკვიანეს თებერვლისა, მეორე კი—არა უკვიანეს ავგისტოსი, ადკილობორივ ბლადონინებთან, რომელნიც დაუვონებლივ აცხენიან ამ ფულის სასულიერო კონსისტორიებში, ამ უკანასკნელთ კი ეს ფული შექეთ საკუბერნო ხაზინებში, იმ კრებულთა სიასთან ერთად, რომლებთაგანაც ეს ფული შემოვიდა, არა უკვიანეს ერთი თვისა, მიღების შემდეგ.

IV—ზედმეტი გადასახადის დაბრუნება მოხდება საერთო დადგენილების ძალით, სახაზინო ზალატის განკარგულებით.

ადნინული წესდებები სასახინო დეპარტამენტის ცირკულიარით, 7 ოქტომბრიდან ნაუწყები აქეთ სასახინო პალატებს, სახელმძღვანელოთ და ხაზ. ნებში განსაკარგულებულად. ზემორე ადნინულს თანახმად უწ. სინოდის დადგინებებისა 21 აგვისტოდან—2 სექტემბრიდან, ქონებრივი მართველობა ცხადებს სამღვდლოებისადმი საეკლესიო მდგომარეობად.

### მეტრიკული წიგნის წარმოების შესახებ.

მეტრიკული მოწმობები და ამოწერილობანი დაბადებაზე და მონათვლაზე, გარეგანი შეხედულებით, წარმოადგენენ, სიტყვა-სიტყვით ამოწერილ სტატიას მეტრიკის წიგნიდან ამა თუ იმ დღედღემოქმედებაზე. თავისი შინაარსით ისინი შეადგენენ საჭირო საბუთს. ასეთი ამოწერილობა მოწმობს ორ დიდ შემთხვევას ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, მის ორგვარ დაბადებას: ბუნებრივად სულ პირველში, სულიერად კი მონათვლის შემდეგ. აქედან აშკარაა, თუ რა საჭიროა ჩვენთვის ისეთი საბუთი, როგორც მეტრიკული მოწმობა ცხოვრების სხვადასხვა დამოკიდებულებაში. გახდება თუ არა ბავშვი სკოლაში შესაყვანი, საჭიროა ამ საბუთის წარდგენა; გაათავებს სკოლის, გამოვა ცხოვრებაში, მაშინაც უამისოდ ვერ შევა სამსახურში. არა ნაკლებია სხვა შემთხვევებიც, როდესაც მეტრიკული მოწმობა საჭიროა, მაგ. ქორწინების დროს, მექვიდრობის დამტკიცების დროს. რადგან ასეთი დიდი უფლებრივი მნიშვნელობა აქვს მეტრიკულ მოწმობას, ამიტომ სასურველია, მისი შედგენა განსაკუთრებული ყურადღებით სწარმოებდეს, რადგან ცოტა რამ შეცდომა ამ შემთხვევაში, იწვევს ბევრ წვადებას იმ პირთათვის, რომელთაც ის ქირდებათ. მეორე მხრივ, მეტრიკული წიგნის შეცდომითი წარმოება, ზედმეტ შრომას აყენებს სასულიერო სამსახურს, რომელმაც უნდა გაასწოროს მეტრიკული შეცდომა,

მაგ. თუ შეცდომით არის ნაწარმოები ან რაიმე ექვს პადებს.

ასეთი შეცდომების ასაცილებლად და რიგინად გასაწესრიგებლად, უწმიდესი სინოდი არა ერთხელ უგზავნიდა ბრძანებებს (მაგ. უწ. სინოდის უქაზი 23 დეკემბერი 1889 წ. № 15) საეპარქიო მართველობას, რათა მათ ყურადღება მიექციათ მათდამი რწმუნებული სამღვდლოების მეტრიკული წიგნების წარმოებას, დამნაშავენი კი დასაჯონ, თანახმად სასულიერო კონსისტორიის წესდებულებისა. (სტ. 192 და 193); ამასთან ერთად უწ. სინოდმა შემოიშვა სახელმძღვანელო ცნობები, საეკლესიო კრებულთათვის, მეტრიკული წიგნის საწარმოებლად. მიუხედავად ამისა, დღემდე ბევრი მოხსენება მიღის უწ. სინოდს მეტრიკულ მოწმობათა უწესოდ წარმოების შესახებ, რაცა გვიჩვენებს, თუ რა რიცხვით ყურადღებას უნდა აქცევდნენ ამ საქმეს საეპარქიო მმართველობანი. ამასთანავე საჭიროა, სამღვდლოების აზროვნებაში გაცოცხლდეს ის კანონები და განკარგულებანი უწ. სინოდისა, რომელნიც ამ საგანს შეეხებიან. იმ ეს კანონები და სინოდალური განკარგულებანი. ასე მაგ. კანონი ამბობს რომ შეუცდომელი წარმოება საკრებულო წიგნებისა, განუყოფელი ვალდებულებაა, როგორც მღვდლის, ისე დიაკვნის და მედავითნის. (ტ. IX სტ. 870). მეტრიკულ წიგნებში უნდა ჩიწეროს ესა თუ ის შემთხვევა, მაშინვე მღვდელ-მოქმედების შემდეგ, ან მღვდლისაგან ან დიაკვნისა და მედავითნისაგან, რაც შეიძლება დანამდვილებით; ყოველივე გასწორებულთ ნაწერი აკრძალულია მეტრიკულ წიგნებში, თუ რაიმე შეცდომა ჩამწერის მხრივ, მაშინ უნდა ფრჩხილებში ჩაისვას ეს ალაგი და ისევე ხელ-ახლა დაიწეროს, რაც საჭიროა იყო. მღვდელ-მოქმედების შესრულებისა და მეტრიკულ წიგნში ჩაწერის შემდეგ, შეცდომის ასაცილებლად უნდა მოწვეულ იქმნენ დამწერი ჩაწერილის სინამდვილის დასამოწმებლად. (დებ. სას. კონ. სტ. 100). ასეთია გარეგანი წესი მეტრიკული წიგნის წარმოებისა. თითონ ჩაწერის დროს კი საჭიროა ხელმძღვანელობა უწ. სინოდის დადგინებებით, 14 ოქტომბრიდან—8 ნოემბ. 1887; ამ დადგინებებაში უწ. სინოდი ხსნის, რომ საეკლესიო კრებული, როდესაც ბავშვებს, რომელნიც დაბადებულნი არიან კანონიერი ქორწინებაში მყოფ დედათაგან, სწერს უკანონო

შობილად, ბავშვის დედის ან ნათესავთა განცხადების ძალით, იქცევა უკანონოდ, რადგან უფლებების გამოსაკლევად კანონიერია ბავშვი თუ უკანონო, თუ კი ამისთანა ქორწინება არსებობს, დედის ქმრის საქმეა და თითონ ამ კითხვის გადაჭრა სისამართლო დაწესებულებების საქმეა, ასე რომ კრებულის ვალდებულებას არ შეეხება. ამ ზემოდ მოყვანილ დადგენილებიდან ცხადია, რომ საეკლესიო კრებული ვალდებულია მის განკარგულებაში მქონე ცნობების მიხედვით, ჩასწეროს მეტრიკაში კანონის მიერ დადგენილი ფორმის თანახმად, იმის გამოძევა კი უკანონოდ შობილია ბავშვი თუ კანონიერად, მისი საქმე აო არის. ეს ფორმა კი ნათლად უჩვენებს, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს დაბადება და მონათვლა. სახელდობრ: ა) ბავშვები დაბადებულნი იმ დედათაგან, რომელნიც შეუღლებულნი არიან, თუ გინდ უკანონოდ; სანამ სასულიერო მთავრობა არ დაამტკიცებს ამას, კიდევ რომ დაამტკიცოს, თუ კი ამ დამტკიცების შემდეგ 306 დღეზე ნაკლები გავიდა; იწერება დედის და ქმრის სახელზე (ტ. X. ნ. I სტ. 119 და უმაღ. ბრძ. 3 ივნისის 1902 წ. სტ. 131); ბ) ბავშვები დაბადებულნი ქვრივისაგან ან ქმართან გაყრილისაგან, ან ისეთი ქალისაგან, რომლის ქორწინებაც უკანონოდ არის ცნობილი—იწერებიან დედის და მკვდარი ქმრის ან გაყრილი ქმრის სახელზე, თუ დღიდან სიკვდილის ან გაყრისა, ან უკანონოდ ცნობისა, ბავშვის დაბადებამდე გავიდა 306 დღეზე ნაკლები (ტ. 7 წ. I სტ. 119); ასეთი ჩაწერა ფორმალურის შრივ სწორი იქნება,—მაგრამ, თუ სახეში მივიღებთ, რომ ჩამწერის განკარგულებაში ყოველთვის არ შეიძლება იყოს დანამდვილებული ცნობები,—ქმრის სიკვდილის ან გაყრის შესახებ; მაშინ არა უშვავ მონათლულის დედის სახელზე ჩაწერას; ამასთანავე უნდა აღინიშნოს ვისი ქვრივია, ვის გაეყრა და არ უნდა იხმარებოდეს ჩაწერის დროს სიტყვა „უკანონოდ შობილი“; გ) ბავშვები იმ ქალისა, რომელმაც ქმრის სიკვდილის ან გაყრის შემდეგ დაბადა, მხოლოდ მეორე (ე. ი. ახალი) ქორწინებაში ყოფნის დროს,—იწერებიან დედისა და დამდვილი ქმრის სახელზე, რომელსაც, თუ კი მოსურვებს 1348 სტ. ტ. XVI ნ. I სამოქალაქო სასამ. დებ. ძალით შეუძლია განასაზიგროს ასეთი ჩაწერის სინამდვილე. ზოგიერთ შემთხვევებში (მაგ. ქმრის დაკარგვაზე და

ციმბირში გაგზავნაზე), თუ კი ეს დამტკიცებულია და ამ დროიდან გავიდა 306 დღეზე ნაკლები, შეიძლება, როგორც 881 სტ. ტ. IX აღნიშნულ მეტრიკულ ჩაწერის ნიმუშიდან ჩანს, ჩაწერა იმ ბავშვისა, რომლებიც ქორწინებაში მყოფ დედებიდან დაიბადნენ, მხოლოდ დედების სახელზე, მაგრამ ამასთანავე კრებული არ უნდა უმატებდეს სიტყვას „უკანონოდ შობილი“, რაიცა ხშირად ხდება, რადგან ასეთი მიმატება ამტკიცებს, რომ სამდღელოება მისთვის არა სავალდებულო საგანს შეეხება, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული. ერთად ერთი შემთხვევა, როდესაც ამ სიტყვის ჩაწერა შეიძლება,—ეს მაშინ, როდესაც ქალი, რომელმაც შობა, არც წინად ყოფილა ჯვარ-დაწერილი და არც ეხლად, მაგრამ ასეთი ჩაწერა ამ ეხმად უმაღლესი ბრძანებით 3 ივნისის 1902 წ. უკანონოდ შობილი ბავშვებისა აკრძალულია. თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, რომელიც სპობს სიტყვას „უკანონოდ შობილი“ ხმარებიდან, ყველა უკანონოდ შობილი ბავშვები—ასეთებთა კი ზემო აღნიშნული უმაღლესი ბრძანება სთვლის ბავშვებს: 1) რომლებიც უქმროსაგან არიან დაბადებულნი 2) მრუშების შემდეგ\*) და 3) დაბადებულნი ქმრის სიკვდილის ან გაყრის შემდეგ, ან ქორწინების უკანონოდ ცნობის შემდეგ, როდესაც ყველა ამის შემდეგ 306 დღეზე მეტია გასული,—ყველა ესეთი იწერებიან მონათვლის შემდეგ მეტრიკულ წიგნში დედების სახელზე, ამასთანავე არ უნდა აღინიშნოს უკანონოდ შობილი, და ბავშვის სახელთან ერთად იწერებოდეს მამის სახელი, თანახმად სტ. 132 იმავე უმაღლესი ბრძანებისა, თუ კი სახელი მითვისებული იქნება მეტრიკაში ჩაწერის დროს.

რაიცა შეეხება, მოგდებულ ბავშვთა, რომელთა დედ-მამაც არ არის გამოჩენილი, ჩაწერას ასეთ შემთხვევაში, რადგან არ შეიძლება კაცმა ისარგებლოს 861 სტ. IX ტ. დამატებულ, მხოლოდ მონათლულის სახელი უნდა აღინიშნოს, დრო და ადგილი დაბადებისა, თუ კი რამე ოფიციალური ცნობები იქნება ამის შესახებ (მაგ. სამბებიაო დაწესებულების მოწმობა, ან პოლიციის ცნობები) ან მოწმების ჩვენება; ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მშობლები არ იციან.

\*) აქ კანონს, რასაკვირველია, სახეში აქვს ისეთი მრუშება, რომელიც სამოსამართლო წესით არის დამტკიცებული.

**პანსხად კითხვისა...**

ყოველი ზირი სიამრთლის მტველი  
თეთი საქმეთაგან ამაღლებულია,  
მის წინააღმდეგ—სიამრთლი მსულელი  
ამ სოფლიოდან დამდაბლებულია.

მაგალითია წინ დასადები  
ვინც უკვირდება სოფლის ბრუნვას,  
ვაჟ მათ შრულთა—იმ ცხოვრთ გუნდთა,  
ვინც შეუბერია ამაო ზრუნვას!..

უწყოდე ძმაო, რომელ სიამრთლეს  
აქვს ნადაგი ზეადამიერენი,  
მის წმიდა გზასუდ არვის შეხვდება  
საჭირ-პორტო რამე საფრენი.

მხოლოდა სული დამშვიდებული  
და სინადისი მალაი, წრთელი,—  
გელარ იძლიოს მცითურისაგან,  
გერც შეურეოს მას სამყოფელი.

მხოლოდ ამ აზრით ნათელ-ფეხნილსა  
ძალ-უძს ცხოვრების მშვიდად ატანს,  
მხოლოდა ამ სხეტაეს სავანეს  
ძალ-უძს განდევნოს „ბილწო სატანა“.

თ-ლი როსტომ-გუმა ჩიქოვანი.

**ნებარ არს კანნი.**

ნეტარ არს კაცი, რომლის საქმეში  
სუიევეს სიამრთლე დუფლექელია,  
ის არის სსხე მალა-სატების,  
ის არის უოვლად „ნამდვილი ქველი!“

ნეტარ არს კაცი, რომლის გონებას  
ზენა საწრთელე ნათლად დგომია,  
და იმ გონების გამონაბრწყენი  
სხვეებს სხე-მომიენი გზად გასდამია.

ნეტარ არს კაცი, ვინცა მოძმეთა  
და მის სიკეთას ბურჯად გამხდარს,

და შეურთველად ამ სიამგრესედ  
არ შედრეკილას, შტკარედ დამდგარს.

ნეტარ არს კაცი, რომლის აზრი  
მალაის ზნითა გამსჭვალულია,  
და ამ გონებით სიმშობლო ქვეჩის  
საკეთილ-დღეოდ ის აღძრულია!

ნეტარ არს კაცი, ვის მადლიან ხელს  
კენის „ბომბი“ დაუნგრევიას,  
და მის ნანგრევსედ ერის სამსხვერვლად  
თვის წმიდა სისხლი დაუნთხევიას.

ნეტარ არს იგი, ვისივ არსებით  
სხევიც უზრუნველ-არსებულია,  
და წმიდა მსხვერვლის „ქველის“ ხელით  
უღონოს ხელი აღუსებულია.

ნეტარ არს იგი, მის „ქველის“ საქმეს  
ვინც მოუბოვს უკვდავ სიუბი,  
ვისსა ღვაწლ-ნადებს შრთმასუდ ბრწყენდა  
ტეშმარტების ნათელ სხევიბი!..

თ-ლი როსტომ-გუმა ჩიქოვანი.



**ახლად გამოსულს**

ს ა მ წ ე რ ლ ა ს ხ ა რ ე უ ზ ე დ .

თუ სამშობლოს სიყვარულით  
გამსჭვალული იღებ კალამს  
და გულით გსურს მოპასუხე  
ექმნე ქართველი ჰირს და ვარამს,  
მეც თანგიგრძობ, და მის ნიშნად  
შორით გიძღენი, ძმაო, სალამს...  
გახოცდეს, რომ მომავალი  
შენსა ნაღვაწს არ დამაღავს.

თუ სხეფერი მიზანი გაქვს—  
კერადა გსურს გრაცხდეს ერი,  
გარს გეხვიოს და გიკვიოს  
გუნდრუკი და მური ბევრი,—  
გიჩრეც ვხლოვ დაანებო  
კალამს ხელი ბიწიერი,

სამოღვაწოდ აირჩია  
სხვა რამ საქმე შესაფერი...

ცბიერს მიზანს ხალხი იცნობს,  
გამოჩნდება თვით გზა მისი,  
მომავალი მივიხვდება,  
რომ არა ხარ ცნობის ღირსი...  
და თუ ერი დღეს გამსახურებს,  
ცბიერს შრომას გიასებს,  
დრო მოვა—და უფრო კარგად  
შენს მიზანსაც დააფასებს...

მსგავსი მიზნით გამსჭვალული  
ნუღარ არყვე ჩანვით ჰაერს,  
წყლულზე წყლულსა ნუ უმატებ  
უმისოდაც ჩაგრულსა ერს...  
მიზანს იცვლი—მაშინა კი  
გრძნობით ჩანვი ადულტრე,  
უკეთესის მომავლისთვის  
ქართველთ გული ამატერე...

ეგიპტოზი.

**ბიბლიოგრაფიული მნიშვნა.**

Кавказское сельское хозяйство (1902, № 456).

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამოცემის  
№ 456-ში დაბეჭდილია ყოვლის მხრივ საყურად-  
ღებო წერილები:

ა) О применении льняного закона в Грузии.  
ბ) О необходимости устройства на Кавказе  
биржи и элеваторов сельско-хозяйственных про-  
дуктов а. ვენგულოვისა.

გ) Кооперация, как средство удовлетворения  
назрѣвающихъ нуждъ по винодѣлю и виноградар-  
ству на Кавказѣ ე. რუხილაძისა.

დ) Записка о нуждахъ сельско-хозяйственной  
промышленности თავ. ლ. ჯანდიერისა.

ყველა აღნიშნული წერილები დაწერილია დი-  
დის დაკვირვებით და იმ აზრით, რომ დღევანდელს  
დაბეჩავებულს, დანაცრებულს სოფელს მალამო დას-  
ლონ, იგი წაღმართს გზას გამოაბრუნონ.

ჩვენს მკითხველებს ვურჩევთ წაუკითხავად ნუ  
დასტოვებენ ამ წერილებს, მით უმეტეს, რომ იგინი  
შეეხებინ ჩვენის ერის კიროვარას.

Н. Д. Иерархія вѣеросіійской церкви. Москва. 1892 г.  
საქართველოს (ივერიის) საკათალიკოსო (გვ. 185—198).

1783 წელს, 24 ივნისს, საქართველოს მეფე  
ერეკლე რუსეთის უმაღლესს მფარველობაში შევიდა.  
რუსთა მმართველობა შოგწყო საქართველოში 1801  
წელს. მართლმადიდებელი იერარქია არსებობს სა-  
ქართველოში 318 წლიდან, როდესაც ანტიოქიის  
პატრიარქმა ევსტათემ მცხეთაში დაადგინა მამათ-  
მთავრობა, რომელიც მეორე მსოფლიო კრებამდე  
(381 წ.) ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის სა-  
პატრიარქოს, გარნა ამ წელს (381 წ.), განსაკუთ-  
რებულ დადგენილებისმებრ, დაექვემდებარა ანტი-  
ოქიის პატრიარქს. 458 წლის ახლო ხანს კონსტან-  
ტინეპოლის პატრიარქმა ანატოლიმ, იმპერატორ  
ლეონ დიდის თანხმობით და საქართველოს მეფის  
ვახტანგის თხოვნით, მცხეთას დაადგინა დამოუკი-  
დებელი არხივისკოპოსი, ნეტარი პეტრე, კათალი-  
კოზად სახელდებით, რის თანხმობა გამოაცხადა  
აგრეთვე ანტიოქიის პატრიარქმა პალლადიმ 488  
წლის ახლო ხანს.

მცხეთ-ივერიის კათალიკოზებს 542 წლამდე  
ამტიკცებდნენ ანტიოქიის პატრიარქნი, გარნა ამ  
წლიდან საქართველოს ეკლესია იმპერატორს იუ-  
სტინიანეს სივლით, კონსტანტინეპოლის მსოფლიო  
პატრიარქის ლენის და აღმოსავლეთის ყველა  
მართლ-მადიდებელ პატრიარქების თანხმობით გამო-  
ცხადებულ იქმნა ავტოკეფალიად, რაიც დაამტკიცა  
კონსტანტინეპოლის მე-VI მსოფლიო კრებამ, რო-  
მელმაც დაადგინა: „მცხეთის ეკლესია ივერიაში  
ცნობილ იქმნას ღირსებით და პატრიოთ თანასწო-  
რად წმიდათა სამოციქულოთა, კათოლიკე და სა-  
პატრიარქო საყდართა“, ივერთა კათალიკოსს მე-  
ნიკოს „თანასწორობა პატრიარქთა“ და „უფროსობა  
არხივისკოპოსებისა, მიტროპოლიტებისა და ეპის-  
კოპოსებისა მთელს საქართველოში—კახეთს, შაქს,  
შირვანს და მომიჯნავე ქვეყნებში კავკასიონს გადა-  
ღმა მდინარე სტანამდე და ჩერქეზამდე, მთელს  
ოსეთს, ზემო ქართლს, სამცხეს“. მირონის შემზა-  
დებისა და კურთხევის ნებაც კრებამ მიანიჭა კათა-  
ლიკოსს. 545 წლამდე კათალიკოსებად იყვნენ  
ბერძენნი და ამ წლიდან კი—ქართველნი, რომელ-  
თაგან პირველი იყო საბა.

მე-V, VI და VII მსოფლიო კრებაზე დაესწრნენ საქართველოს წარმომადგენელნიც.

1250 წელს მცხეთა-ივერიის საარქიეპისკოპოსოს მიენიჭა ხარისხი პატრიარქ-კათალიკოზობისა. მისნი უპირველესნი მაკურთხებელნი იწოდებოდნენ არხი-ეპისკოპოსად მცხეთისა, კათალიკოს-პატრიარქად ივერიისა, ქართლისა და კახეთისა.

1783 წ. ივერიის კათალიკოსებს უმაღლესად ეწყალობათ უუწმიდეს სინოდის წევრობა.

პატრიარქ-კათალიკოსები: ანტონი I, გარდ. 9 თებერვალს 1788; დასაფლავებულია მცხეთის საპატ. ტაძარში. ანტონი II; აკურთხეს ცარსკოე სელოს ნინო-წმინდის მიტროპოლიტად 30 ივნ. 1786 წ., კათალიკოზად დაინიშნა 1789 წ., რუსეთს გაიწვიეს 10 იელისს, 1811 წელს; 1812 წლიდგან სცხოვრობდა ნიენი-ნოვგოროდს კათალიკოზის სახელწოდებით. გარდ. 21 დეკ. 1827 წელს.

მცხეთა-ივერიის საპატრიარქოს ეპარქიები:

მცხეთის საარქიეპისკოპოსო მცხეთაში; 318 წლიდგან 1811 წლამდე განაგებდნენ ივერიას კათალიკოსნი, შემდეგ ექსარხოსნი უუწმიდეს სინოდისა. 1818 წლიდგან გადარქმეულ იქმნა ქართლისად.

სამიტროპოლიტოები:

|               |                  |
|---------------|------------------|
| სამთავროსი    | 342 წლიდგან      |
| ალავერდისა    | 557 "            |
| ბოდბისა       | 335 "            |
| ტფილისისა     | მე-V საუკუნიდგან |
| ნინო-წმინდისა | მე-V "           |

საარქიეპისკოპოსოები:

|             |                  |
|-------------|------------------|
| რუს-თავისა  | მე-V საუკუნიდგან |
| წილკნისა    | 345 წლიდგან      |
| ურბნისისა   | გაუქმდა 1811 წ.  |
| რუისისა     | მე-V საუკ.       |
| სამთავისისა | გაუქმდა 1811 წ.  |
| ნიქოზისა    | მე-V საუკ.       |
| ნეკრესისა   | მე-V "           |

ახტალის სამიტროპოლიტო გაუქმდა 1824 წ.

აკასისა(?) გაუქმდა 1829 წ.

ამას გარდა ძველად კიდევ იყო ეპარქიები

აგარაკისა მე-VI საუკ.

ალენანის; მისი ეპისკოპოსი მოხსენებულია კონსტანტინეპოლის მე-V მსოფლიო კრებაზე 555 წ.

- ანისისა აწყურისა
- აწყურისა მე-VI ს. რუსთავისა VI საუკ.
- ბანისა მე-X საუკ. ხარკაშნისა
- ბოლნისისა მე-V ს. ხორანაბუჯისა V საუკ.
- ბოქორშისა წალკისა
- ვალაშკერტისა წყაროსთავისა X-XI ს.
- ვარძისა(?) ცხუმისა
- გიშისა ჰყონდიდისა მე-X ს.
- კუმურდოსი მე-VI ს. ბიჭვინტისა 356 წ.
- დაღაშნისა ქუთ. 1027—1092 წ.
- ქერემისა მე-V საუკ. გელათისა 1525 წ.
- ერუშნისა ცაგერისა
- კარისა ვაკისა (ხონს) მე-V ს.
- კაწარისა ნიკორწმინდისა მე-II ს.
- ახიზისა დრანდისა
- მანგლისისა მე-V ს. მოქვისა მე-X.

შემოქმედისა მე-X—XI ს.

ბედისისა მე-X საუკ.

ტაიშისა გაუქმდა 1823 წ.

ჯუმათისა " 1833 წ.

ნინოწმინდისა

ანჩისა მე X საუკ.

იშხნისა მე-X საუკ.

ტბეთისა მე-X საუკ.

თბილელი, არსენი ნაბიძე გარ. 30 ნოემბ. 1813 წ. მრაველი, იონა გარ. 5 მარტს 1823 წ. მოსკოვს. ნინო-წმინდელი, დავით წერეთელი, 1829 წლიდგან ჰყონდილად, გარდ. 18 იანვ. 1853 წ.

რუსთველი, სტეფანე ჯორჯაძე 1818 წლ. გორის ეპისკოპოსი.

ახტალელი, იოაკიმე გარდ. 1824 წ.

წილკნელი, გერვასი მაჰაფარიანი 1814 წ. გორისა.

ურბნელი, იუსტინე გარდ. 1811 წ.

ნიქოზელი, ათანასე გარდ. 1810 წ.

გორისა, დოსითეოზ ფიცხელაური გარდ. 19 ნოემბერს 1830 წ.

ბოდბელი, იოანე მაყაშვილი გარ. 24 სექ. 1837 წ.

იმერ-აფხაზთა, კათალიკოსი მაქსიმე ნიჟარაძე გარდ. 30 მისს, 1790 წ.

გენათელი, ეფთვიმე შერვაშიძე, გარდ. 21 აპრ., 1821 წ.



ქუთათელი, დოსითეოზ წერეთელი, გარდ. 8 მარტს, 1820 წ.

ვაგერელი, იოანე დადიანი, გარ. 9 დეკ. 1822 წ. ვაკელი, ანტონი დადიანი, გარდ. 16 ივლისს, 1822 წ.

ნიკორწმინდელი, სოფრონ წულუკიძე, გარდ. 8 ნოემბერს, 1841 წ.

ქუნიდელი, ბესარიონ დადიანი, გარ. 1828 წ. ცაიშელი, გრიგოლ ჩიქოვანი, გარდ. 15 ნოემბ., 1823 წ.

ჯუმათელი, ნიკოლოზ შერვაშიძე, გარ. 1827 წ. ასეთი ძვირფასი ცნობები აღნიშნულს წიგნში. „ივერია“.

**ქურნალ-გაზეთებიდან.**

რუსეთში უმაღლესს სასწავლებლებზე საზოგადოდ ცოტა იხარჯება. ყველაზე მეტი ფული უნდება მოსკოვს უნივერსიტეტს — 1,300,000 მანეთი; პეტერბურგის უნივერსიტეტს წელიწადში უნდება 800,000 მანეთი, სხვა უნივერსიტეტებს — თითო 500,000 მან., ხოლო ვარშავისა, ტომსკისა და იურიევის — თითო 400,000 მან. ამასთან რუსეთში სულ ცხრა უნივერსიტეტია. ასე არ არის საზღვარგარედ. მთლად ევროპაში რუსეთს გარდა 120 უნივერსიტეტია, ხოლო შეერთებულ შტატებში — 41. ისეთი პაწაწა სახელმწიფოც კი, როგორც რუმინია, ორს უნივერსიტეტზე ჰხარჯავს 1½ მილიონ მანეთს. ბერლინის უნივერსიტეტს უნდება წელიწადში 1½ მილიონი მანეთი, ლუნდისას (შვეცია) — 1,800,000 მანეთი, პარიზისას — 2,200,000 მან., კემბრიჯისას (ამერიკის შტატ. მასაჩუსეტშია) — 9,000,000 მან. დიდ ფულსა ჰხარჯავენ უნივერსიტეტებსა და უმაღლესს სასწავლებლებზე განსაკუთრებით ამერიკაში. პეტერბურგის სატექნოლოგი ინსტიტუტს 1900 წელს მოახმარეს 274,000 მან., ხოლო ბოსტონის (ამერიკაში) ასეთსავე ინსტიტუტს — 2,800,000 მანეთი. ქონება საზღვარგარეთელ უნივერსიტეტებს მეტად დიდი აქვთ. ზემოდ ხსენებულ კემბრიჯის უნივერსიტეტს, მაგალითად, 25

მილიონ მანეთის ქონება აქვს. სტუდენტთა რიცხვი საზღვარგარედ დიდია. 1900—1901 სამოსწავლო წელს ითვლებოდა:

|                                     |        |       |
|-------------------------------------|--------|-------|
| პარიზის უნივერსიტეტში . . . . .     | 12,171 | სტუდ. |
| ბერლინის „ . . . . .                | 12,063 | „     |
| ქარის უმაღ. სკოლაში . . . . .       | 9,063  | „     |
| ვენის უნივერსიტეტში . . . . .       | 6,009  | „     |
| ბუდაპეშტის „ . . . . .              | 5,661  | „     |
| ნეაპოლისა „ . . . . .               | 5,165  | „     |
| მადრიდისა „ . . . . .               | 5,118  | „     |
| გლაზგოს სატექნიკო სკოლაში . . . . . | 4,587  | „     |
| ბერლინის „ . . . . .                | 4,441  | „     |
| ამავე წელს ირიცხებოდა:              |        |       |
| შვედთ. შტატების უნივერსიტ. . . . .  | 65,500 | სტუდ. |
| გერმანიის „ . . . . .               | 41,000 | „     |
| რუსეთის „ . . . . .                 | 16,800 | „     |

\* \*

მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი მიხაილოვსკი ამ ემისდ ევროპაში მოგზაურობს იმ აზრით, რომ მაკედონელებს ევროპიელებს თანაგრძნობა მოუპოვოს. ამ წამს მიხაილოვსკი პარიზში იმყოფება. ვენაზე რომ გაუვლია, მიხაილოვსკის „ნ. ფ. პრესეს“-ს თანამშრომელთან საუბარი ქონია და მაკედონიის მდგომარეობა, აჯანყებულთა ძალა და მიზანი დაუსურათებია: „მაკედონიის მდგომარეობა საშინელია. ჩვენი სურვილი ორის სიტყვით გამოითქმის: გვინდა, რომ ქრისტიანებს ის უფლება ჰქონდეთ, რაც ოსმალებს აქვთ, ანუ ზეანაირად რომ ესთქვით, მხოლოდ ის გვინდა, რომ ბერლინის ხელ-შეკრულობის მე-23 მუხლი ასრულდეს. მაგრამ ზონთქარი აბდულ-ჰამიდი არას დროს არ შეასრულებს ჩვენს მოთხოვნილებას. ევროპაში ჰგონიათ, მაკედონიის მოძრაობის მიზეზი ბოლგარიააო. პეტერბურგიდან და ვენიდან არა ერთხელა სთხოვეს ბოლგარიის მთავრობას, მაკედონიის მოძრაობას ხელს ნუ უწყობთ. მაგრამ ბოლგარიის მთავრობა აქ არაფერ შუაშია. მაკედონიის მოძრაობა მარტო იმ მიზეზით დაიწყო, რომ მაკედონია საზარელ მდგომარეობაშია.

ბოლგარიაში ბევრი მაკედონიელი გადასახლდა და აი სწორედ ესენი უწყობენ ხელს აჯანყებას. რაც ბოლგარიის დედა ქალაქ სოფიაში ხალხი ცხოვრობს, ნახევარი სულ მაკედონელები არიან. მდინარე დუნაის ორსვე ნაპირსაც თითქმის 250 ათასი

მაკედონელი ცხოვრობს. ისიც ნუ დავაფიქვებთა, რომ ამოდენა ხალხი უმეტეს ნაწილად განათლებულნი არიან. 550 წელიწადია, რაც ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე შინაური ბრძოლა არა სწყდება, მაგრამ საქმე ჯერ არას დროს არ გამწვავებულა ისე, როგორც ესლა. მაკედონიაში მთელი ხალხი კი არ აჯანყებულა, ისე, მაგალითად, როგორც საფრანგეთის რევოლიუციის დროს აჯანყდა. ამისთანა მოძრაობა ბოლგარიის ხალხის ხასიათს როდი შეჰგებრის. მაკედონიაში დღესაც იმნაირი ამბებუ ხდება, როგორც ძველ სიმღერებსა და თქმულებებშია აწერილი: მაკედონიაში გაიდუქების აჯანყება. 20—25 კაცი პატარა რაზმს შეადგენენ, ერთს უფროსს აირჩევენ და უმოწყალო პარტიზანულ ბრძოლას იწყებენ ოსმალებთან. ზოგიერთმა სარდალმა, მაგალითად, გენერალ კონჩეგმა და პოლკოვნიკ ნიკოლოვმა მშვენიერად იციან სამხედრო საქმე. ესენი ბოლგარიის ჯარში მსახურებდნენ. ზოგიერთ სარდლებს მშვენიერი იარაღი აქვთ. ბევრ რაზმს მკვარი, ძიუღალი ადგილები უჭირავს. აჯანყება იმიტომ გაძლიერდა ასე, რომ ხალხი თანაურბრძოლას აჯანყებულებს.

„ესა დე პარი“-ს თანამშრომლისათვის მიხაილოვსკის უთქვამს: უმთავრესად საფრანგეთისა და ინგლისის შემწეობის იმედი მაქვსო. ამას გარდა, მიხაილოვსკის უთქვამს, მაკედონიის კომიტეტი 4000—5000 აჯანყებულ კაცს ინახავს თავის ხარჯითაო.

\* \*

მესსეთის და ჯავახეთის გაათარება. ქართველ კათოლიკეთა ერთმა მოძღვარმა თავის ქადაგებაში წარმოსთქვა შემდეგი: ქართველთა გაათარების და ტანჯვა-ვაგების ისტორია რომ დაიწეროს, 24-ს ტომზედ ნაკლები არ გამოვაო. ქვეშაირტად ეს ასე იქნებოდა, რომ თავის დროს ვისმეს ხელი მიეცო, ცნობები ეგროვებინა და თან ეწერა. ქართველთა გაათარება ადვილად არ მოხდარა, მას დიდი, ვრცელი ისტორია აქვს, სამწუხაროდ ამ გაათარების შესახებ კი ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს. როგორც კვლავაც ვითქვამს, ამ საგნის შესახებ არც «ქართლის ცხოვრებაში»-ში და არც სხვა ისტორიულს წიგნებში მოიპოვება რამე. ჩვენი ძველი მწერლობა ამაზედ მდუმარებს.

მესსეთი და ჯავახეთი ოსმალთა აღრიდგანვე გაათარებს. ლაზისტანი, არტანი, არდანუჯი, ლივანა,

აქარა, თორთომი, ოლთისი და სხვა უშორესი ადგილები გაათარებულნი არ იყო, რომ მესსეთის და ჯავახეთის ქართველებს გაათარება დაუწყეს 1635 წ.

1635 წ., ახალციხე ოსმალების მთავარ საფაშლიკო ქალაქად დანიშნა და ფაშად დადგენილ იქნა ბექა ათაბაგი, რომელიც პირველად გაათარდა და სახელად საფარა ეწოდა.

რადგანაც ახალციხე ოსმალების ასეთ ცენტრად დანიშნა, ამიტომ ოსმალების მთავრობაც იმას სცდილობდა, რომ ამ ადგილის ვარშეშო მცხოვრებნიც მუსულმანის სარწმუნოების მიმდევარი ყოფილიყვნენ. ამიტომ ქართველებს ძალით დაუწყეს გაათარება და ამ გაათარებისთვის მახვილსაც ხმარობდნენ. არც მესს-ჯავახნი აკლებდნენ მათ მტრობას. მესსთავან მათ საქმე ძლიერ უჭირდებოდათ, ქართველთა გაათარება ერთობ ძნელდებოდა. მესსნი და ჯავახნი ჩვეულებრივის გმირობით ებრძოდნენ ოსმალთა სასულიერო წოდებას და არსად და არას დროს ადვილად არ ემორბილებოდნენ. დროს ვანა მავლობის და ეშათა ვითარების მეოხებით, მესსნი და ჯავახნიც მოიღალნენ ბრძოლაში და ამიტომ, ზოგიერთს ადგილებში იწყეს შვიის ბედის მორჩილება, სჯულის გამოცვლა. სჯულის გამოცვლას დიდად ერიდებოდა მესსელ და ჯავახელ ქართველი დედაკაცობა. ამის საფუძვლად კმარა გავისხენოთ თუნდ როსტომ ფაშა ჯაყელის ცოლის მაგალითი, რომელმაც დიდის ტანჯვით დასთმო ქრისტიანობა და ისლამს დაუკავშირდა. ამით დააწყნარა მან თავის ქმრის როსტომ ფაშის გული. სამცხეში ქრისტიან ქართველთა საქმე ისე გამწვავდა, რომ 1713 წ. ახალციხეში საქვეყნოდ იქნა დახრჩობილი ელისე არქიმანდრიტი. ოსმალების მთავრობას საქმრისად მობეზრდა ქართველ ქრისტიანებთან ბრძოლა, ისლამის ვრცელება და ამიტომ მესსეთისა და ჯავახეთში შემოიღეს ისეთი წესები, რაც ქართველთა გაათარებას ხელს უწყობდა.

აი ესე წესები:

1) მოლის, თუ ხოჯისაგან მინარეთიდგან დაძახილ ლოკვის დროს, რომ ქრისტიან ქართველს ან გაეცინა, ან დაყვირებით გაეჯავრებინა, ან კენჭი ესროლა და სხვა ამგვარნი, ამ ქართველს უსათუოდ სიკვდილით სასჯელი ელოდა და მამულების წართმევა. ეს ევატიებოდა მაშინ, როცა იგი გაათარდებოდა.



2) ჯამეს წინ თუ გაველო ქართველს და აქ რამე სიტყვა ეთქვა თათრის წინააღმდეგ, ან ჯამეში ლოცვის, ბანჯისა და სხვა დროს, იმას სიკვდილი ელოდა, პატიება მხოლოდ ვათათრების მეოხებით მოხდებოდა.

3) ქართველს აგინა თათარმა, შეუეგნა ყველაფერი, ქართველმაც პასუხი მისცა და სამაგიერო გადაუხადა სიტყვით, ან საქმით, და შეუეგნა ზოგიერთი რამ სარწმუნოების მხარეები, მას სასჯელად სიკვდილი ელოდა, სიკვდილი ევატიებოდა ვათათრებით.

4) ქართველმა თუ თათრის სასაფლარზე გაიარა და იქ რამე დაბილწა, იმას სასჯელად ეკუთვნის დარბევა, მამულების წართმევა. ეს ევატიება მხოლოდ ვათათრებით.

5) ქართველმა თათრის «მეჯლისს» ყადებს, მათ მასლაათს და ხაფიზ (ღვთის-მეტყველი) ხოჯებს პატივი არ სცა ელოვნ-ხანაში, მის სასჯელად დარბევა და მამულების წართმევა, პატიება ვათათრებით ელოდა.

6) ქრისტიანმა ქართველმა ქართველისაგან ფული ისესხა და აღარ მისცა, ან ფული დასტყუა და უარი სთქვა, ამხანაგო იყო და ამხანაგს უღალატა და ფული გამოჩრა, იმუშავა და ფული არ მისცა, იღიდა რამე და სამაგიერო არ გადაუხადა, ყველა ეს მას ევატიებოდა ვათათრებით.

7) ქართველმა მოკლა თავის მამა, დედა, ცოლი, დაჲ, ან ძმა, გინდ სხვა მონათესავენიც და მასთან აიკლო დახოცილის ოჯახიც, ქართველს ყველა ეს ევატიებოდა ვათათრებით.

8) ქართველმა იქურდა, ვაჭქურდა ეკლესიები, ეკლესიების ნივთები აქა-იქ დაჰყიდა, ამას გარდა მოჰკლა მღვდელი, მთავარი დიაკონი და აიკლო მათი სახლ-კარი, მას პატიება ელოდა მხოლოდ ვათათრებით.

9) ქართველს საფაშო ხარჯი, რომ ვერ გადაეხადა და გინდ სიღარიბის გამო მას ამის გადახდა ვერ შესძლებოდა, ამის პატიება მას ვათათრებით ელოდა.

თუმცა მესხელ და ჯავახელ ქართველ ქრისტიანებს დაუწყეს გადაგვარება, მაგრამ იყვნენ მათში ისეთნიც, რომელნიც თვით უქანასკნელ სისხლის წვეთამდინაც კი იღვწოდნენ მწარედ, ყოველნაირ საიდუმლო საშუალებას ხმარობდნენ და თათრობას

კი არ უკავშირდებოდნენ, თუ უკავშირდებოდნენ და იმასაც ისე, რომ ისლამთან ერთად ქრისტიანობას არ ჰკარგავდნენ და საიდუმლოთა ინახავდნენ, გარეგან კი ისლამს აღიარებდნენ. ასეთ ჩუმ ქრისტიანთ ქართველთა რიცხვმა ჯავახეთში 1830 წლამდე მოახწია, ასევე იყო მურღლულის ხეობისაკენ და პირხალში, რომელ ქრისტიანეთ მომსწრეთ და მწახველდ თივლემოდნენ გრიგოლ გურიელი და დიმიტრაძე. მურღლულის ჩუმ ქრისტიან ქართველთ მოძღვარი ლებრაძე ყოფილა, — მღვებროვი, ტრაპიზონში ნაყოფი, ბერძნების სკოლაში ნასწავლი და იქვე ნაკურთხი იყო ბერძნის ეპისკოპოსისაგან. საინტერესოა აქ ერთი ის არის, რომ ტრაპიზონის ბერძენ სკოლაში გავრდილს ქართველს და მასთანვე ბერძნულის ერთ განვითარებული ქართული ენა და ისიც ძველი ხუცურის წიგნების კითხვა ისე კარგად სცოდნია, რომ მას თავისუფლად შესძლებია ქართული წიგნების კითხვა და მასთანვე დიდის შიშით და ძრწოლით ქართული ერთი ქადაგება; იმ ერთი მოქსედება და გრძნობა, რომელი ენაც ოსმალთაგან სასტრკათაც იღვენებოდა.

ოსმალების საქართველოში, აქა-იქ, სადაც-კი ქართველთ შეინახეს მამა-პაპეული სჯული და ენა, მათში სამღვდლონი ყოველთვის ერთის ოჯახიდან გამოდიოდნენ. მღვდელი მამა რომ მოკვდებოდა, მისი სიკვდილის შემდეგ მღვდლობა შვილს რჩებოდა, რომელსაც თვით მამა ამხადებდა, მომხადების შემდეგ ამ სამღვდლო პირს ტრაპიზონს გზავნიდენ და იქ აკურთხებინებდნენ ბერძნის ეპისკოპოსს. ქართლსა და იმერეთში გადმოსვლას კი ვერ ბედადნენ, რადგანაც ოსმალთა სასულიერო წოდებისა ეშინოდათ, რომ არ შეგვიტყუნო. რამდენსაც ოსმალი რომელიმე კუთხის ქართველთ უფრო სტანჯავდნენ სარწმუნოების ცვლილებისათვის, იმდენი საუკეთესო ქართველნი და მებრძოლნიც იქ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ ასეთია, მაგალითებრ, ჯავახეთი და მესხეთი.

ასპინძის ომის შემდეგ ოსმალთა ჯავახეთში არამც თუ მართლ-მადიდებლთ, არამედ ქართველ კათოლიკეთაც კი დაუწყეს დევნა. არსდ აღარავის სიტყვის თქმის ნებასაც არ აძლევდენ და რამდენიმე ალაგას სტანჯეს ქრისტიანები. ასპინძის, სოფ. მალაჯარის და ახალ-შენის ქართველი კათოლიკეებიც კი დასაჯეს და ვათათრეს ასპინძის ქვესა კაცები

ზუბალაშვილები და სხვანი, რომელთა შთამომავალ ფნატიკ ზუბალაშვილების დღესაც სცხოვრობენ ასპინძას და ზოგნი ოსმალეთშიაც წავიდნენ. ამ დროს, ოსმალი იხე აღმხედრდნენ ქართველებზედ, რომ მათ წინააღმდეგ ველარას აწყობდნენ თვით ქართველთ მხნე პატრებიც. სწორედ ამ დროს გაათათურეს მათ დიდი ძალი ქართველ კათოლიკებისა. თუმც ასეთი საშინელი გარემოება დატრიალდა ოსმალთაგან, თუმცა ქართველთ დენის ზომა საზღვარს გადავიდა, მაგრამ ამ დროსაც კი ქართველთ შორის არ მოსპობილან აქა-იქ თითო ოროლა ჩუმი ქრისტიან მოძღვართ რიცხვი, რომელთაც ხალხში აქა-იქ თავ გადადებოდაც უღოწნიათ. ასეთი პირების რიცხვს ეკუთვნიან ვასილი და საბა მღვდელი ორბელიანები, რომელნიც XVIII საუკუნის დამლევს სცხოვრობდნენ, გრიგოლ მღვდელი, დესპოდე ეპისკოპოსი, ტომით ბერძენი.

|                                      |                    |                 |
|--------------------------------------|--------------------|-----------------|
| წელს სულ 429,437,000                 | დეკრტანს მიწა იყო. | ქველან          |
| სახინანს კუთვნიდა . . . . .          |                    | 140,8 მილ. დეს. |
| თავადა-ახნაურთ . . . . .             |                    | 55,5 " "        |
| სხვა შესაკურთვთ . . . . .            |                    | 29,3 " "        |
| საუფლისწულო უწყებას . . . . .        |                    | 7,6 " "         |
| ქალაქებს და დაწესებულებებს . . . . . |                    | 6,3 " "         |
| გლეხთა სკურთებას . . . . .           |                    | 23,5 " "        |
| გლეხთა სასაღლო . . . . .             |                    | 110,6 " "       |

\* \* \* \* \* განქორწინების საქმის გასაჯილეზად და მოსწესრიგებლად ნოემბრის დამლევს განსაკურთვებულ კომისიას შესდგება. ჭეიქობებ, გამოსცენ ისეთი კანონი, რომლის ძალითაც განქორწინების საქმის წარმოება მარტო ნაფიცი ვექილებს უკუძღვით.

\* \* \* \* \* ზოგაერთ ერბასს შუამდგომლობა აღუძრავს გამართოს საშუალო საკურთვნიო გამოთვნები თესლეულისა და სსოფლო-სამეურნეო ანარდისს. ამ გამოთვნებთან განსაკურთვებულ ინსტრუქტორები უნდა იყვნენ, რომელთაც გლეხებს უნდა ასწავლონ ხსელ მანქანების ხმარება, აგრეთვე ზეინჯლობა და მკვდლობა.

\* \* \* \* \* ქუთაისის საბჭოს ხმოსნს ს. ა. წერეთელს მოხსენება შეუტრიანა ქალაქის გამკეთებაში და ურჩევს ქალაქს, ქუთაისიდან რიონის სადგურამდე გააუფანოს სადორიას ტრეში რკინის გზის დაინდავი ელექტრონულ ტრამვაისთვის. „ამით, ამბობს ბ. წერეთელი, ქალაქს დიდი სარგებლობა მიეცემა, რადგან ქალაქის მამულების ფასი სდორიასში ერთი ორად იმატებსო“. ურჩევს ქალაქს თვითონ იკისროს ამ გზის გაუფანა. „მაგრამ, თუ ქალაქი რაიმე მიზნის გამო ვერ შესძლებს ამას, იმ შემთხვევაში მე მომიხდით ეც საქმე საკონცესიითაო“. მოხსენებებს მამაყულ სსდამაზე განიხილავს ქალაქის საბჭო.

\* \* \* \* \* ქუთაისის მაზრიდან სამხედრო ბეგრის მოსხდელად ცაწეკა ჯერ არ დამთავრებულა. ცაწეკელთა რინცხში მოხდნენ ზოგაერთი ის ემაწვლეებიც, რომელნიც ამ უმად ტფილისის სთავადა-ახნაურთ სკოლაში სწავლობენ თურმე, ამ ემაწვლეების მშობლებს გამოუცხადეს, დეკუშით დაიანბნეთ, რომ ორი დღის განმავლობაში აქ იყვნეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიჯნერთ და ჩამოუგნის ცარდა, ისინი სსსწავლეებიდან იქნებთან დათხეობილიო. თურმე სთავადა-ახნაურთ სკოლაში მოსწავლე მთაწყეებს არავითარი შედავითი არა ჭქონათ. გვაკვირს, რომ აქნობამდინ ჩვენს თავადა-ახნაურბას ამის შესახებ არაფერი უხრუნვია.

\* \* \* \* \* აზრდა აქეთ გამოსცენ ხსელი კანონი ქარხნებისა და ფაბრიკების გამართვის შესახებ. განსაკურთვებულ

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* \* \* \* როგორც ცნ. ფურცელს) შეუტრევა, უმადლეს მთავრობას გადაწყვეტია ამიერ-კავკასიაში სამეურნალო საქმე გააუმჯობესოს. აზრდა აქეთ თითო მხრასში ორორი სსსოფლო-სამეურნალო დახარხონ და ორორი სსფერულად აღგილი მოაწოხონ. ამ უმად სსსოფლო მეურნალობის სჭირბებისთვის ამიერ-კავკასიაში იხარჯება 214,000 მანეთი; ხსადის გემოთი ეო დაიხარჯება 920,000 მანეთი.

\* \* \* \* \* ქ. შ. წ.-ი. გამარცხლებულ სზოცადობის) გამკეთება სთხოვს ცნ. ფურცელს) რეაქციას, რომ მოაკონოს სზოცადობების წვერებს, დროზე წარუდგინონ გამკეთებას სსწევრო ფული. ამ ორი თვის წინად, როგორც „ცნობის ფურცელმა“ აღნიშნა, 1000 წევრში მხოლოდ 60 კაცს აქვს სსწევრო ფული წარდგენილი.

\* \* \* \* \* ესდ სან გამოსულ „Ежег. Минист. Финансовъ“-ში დაბეჭდილია საურადალებო ცნობები მიწათმფლობელობის შესახებ. შიდა (ეგრბას) რუსეთში 1896



კომისიის მიერ შემუშავებული კანონი უკვე განხილვა ფინანსთა სამინისტრომ და ხელს სასჯელმწიფო საბჭოს წარუდგინა.

\* \* \* ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ ახალ ხმოსანთა არჩევნები თფილისში კანონიერად იტყვევა წარმატებით; ხოლო ხმოსანთა რიცხვიდან გამომდინარე: მე-3 სსარჩევნო ნაწილში ბ-ნი ბლექტინი, რომელმაც თანახმობა რიცხვი კენჭი შეიძინა; 1-ლ ნაწილში კ. ს. სარქიშვილი, რომელსაც უფლებას არ ქონია კენჭი ეყარა. ამათ მავიერ ხმოსანთათ შორის კანდიდატები: ვ. სარაჯიშვილი, ფ. ჭიბინი და ნ. გრაძიანი. გამორიცხვა აგრეთვე, თანხმად ახრებისა, თვ. გ. დანასია.

\* \* \* როგორც გაცხადებენ აუქციონის, ფინანსთა სამინისტროში მალე დასრულდება განხილვა იმ პროექტისა, რომელიც დიდი ხანია შეადგინა თბილისის გუბერნატორად უფიქროსი თვ. გ. დ. შერვაშიძემ სსოფლო-სამეურნეო თანხების შედგენისა და ხმარების შესახებ.

\* \* \* როგორც გაცხადებენ გუბერნატორის, ჩაქვში 31 ოქტომბერს, ნაშუადღევს 3 სსათე რკინის გზის დინამიტის იხრისა ექვსი შეიარაღებული კაცი თავს დასცემია საუფლისწულო მამულის ბუკვალტურს. ბორტ-მომქმედებმა გაძარცვეს იგი, ამისთან მიმდევრად დასწრეს. ბუხვალტურს თან 4000 მანეთი ჭქონია, მკრამ ძლიან ცოტა წუღიათ, რადგან თფილი დამალული ქონდა თურმე. დასწრისა მისსაშეკლებად შეუიბო კაქსიებულანს, მკრამ ბორტ-გამხსნაკეთ იმთავისაც უსრულათ და ერთი მიმივდ დაუჭრათ.

\* \* \* ამ დღეებში განჯის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომლის ძალითაც მომავალ დეკემბრის ზირველ რიცხვიდან აღკრძალულია ყოველ-გვარი თფილისის, ხმალ-ხსჯლის ტარება განჯის, ნუსის და შუშში. იხრისა ტარება თუ ვისმინ უნდა, ამის ნება-რთვა უნდა გუბერნატორისაგან გამოითხოვოს ყოველ წელიწადს—ხალიციკისთვის თუ მახრის უფროსის საშუალებით. ვისაც ნება მიეცემა იხრისა ტარებისა, ჯეროვანად დამტკიცებული მოწმობა თან უნდა ატაროს, რომ ზირველად მოთხოვნილები ამბერ ზალიციას წარუდგინოს.

\* \* \* გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ეფლად სამდღელო აღქმისნდრე ძლიან ავად იმყოფება. სასულიერო მთავრობის განკარგულებით, მის მეუფების ავადმყოფობის გამო, კამართა ფოთის ეპარქიის დროებით განისკებად ეპ. დამიტრი.

\* \* \* ამას წინადაცხადებენ სსოფლო-სამეურნეო სამინისტროს განხილვის შემდეგ კომისიამ სისხრე ქალაქის გამგეობას დავით აღქმისნდრეს ბოლოში, შესავლთან, 20 ოთხ კეთის საყვანი მიწა ზარკას სავდომის ასაშენებლად სსოფლო-სამეურნეო სამინისტრომ განხილვა ეს შესავდომლობა და შეუძლებლად სწრაფ იმისი შეწყინარება. ამ შესავდომლობას თავის მოხსენებითურთ გამგეობა საბჭოს წარუდგინა.

\* \* \* არავის არ ახსრებს, რომ შორახნის მახრში და განსაკუთრებით ევრილაში ასე ადრე (7 ნოემბერს) თფილი მოსულია და ასეთი ეინვა დავაკავებოს. მისავალს კარკა ზირი უნდა, მკრამ ძლიან გაფუჭდა ევლაფერი. ევლაფერი კაქვინდა—განსაკუთრებით სეტყვით გაქვინდა.

\* \* \* ევრილაში ახლად აშენებული თეატრის შენობა, სსამი დასწრავლან დირდა. მცოდნე ზირებმა შესაძლებლად კვლევის დარღვევის მიხრისა დასავრის ზურველად ამიჭრა დასახლეს. ოსტრატო ამბობს, რომ დასავრე არ ამიყვანავს დრმათა, ხოლო დამსწენებელი კომიტეტი კი—კვლევი არ არის კარკი ნაშენობა.

\* \* \* საეკლესიო მუხუმმა ბერქაშვილისაგან 30 მანათად შეიძინა ბროლის მოვარაუბული სურს კათალიკოსის ანტონ II-ისა შემიდვის ზედ-წარწერით: „საქართველოს კათალიკოსის მეფის ძის ანტონისა ანის: წელს სწოთ თფილს ავვისტრის იე“.

ქორთხიანი სწოთ უდრის 1811 წელს და სწორედ ამ წელს ანტონ კათალიკოსი, ძე მეფის ერეკლე მეორისა, რუსეთში გადასახლეს და მის მავიერ დანიშნეს ექსტრინსად მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი. უწმიდესი კათალიკოს-პატრიარქი ანტონი II ვარლამიგლად ბეტრებურტს 1827 წელს.

\* \* \* ახრად აქეთი ევლა სავადმყოფობი ზირისა წიგნები შემიადონა. უმყოფილო ავადმყოფისა და გარედან მოსულთ შექმლებათ თავიანთი სწივარი ამ წიგნში ჩასწერონ ხოლმე. სწივრები ავად ავადმყოფის კარდაცვლის შემდეგ კარჩევს...



# ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

## დეკანოზი დავით ღამბაშიძის საგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში — იმუყემაია-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჯიჯიძეების და ე. ბეჟინაშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვარიალაში — თეთი გამოცემელთან.

### 1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. **ლოცვანი** ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უსიამოვნო ღვთისმეტყველების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანს სრულს თევთა მტყუფვლებში არიან ჩართულნი საქართე. წმადნები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 50 კ. და უყდათ . . . 40 კ.
2. წესი სწეულის ზიარებისა და ერთელი პანაშვილისა, ფსი . . . 10 კ.
3. **სოცხლთა** და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 30 —
4. **ძონდაკი** იოანე ოკროპირის წირვისა უყდათ 40 კ. კარგი ყლით . . . 60 >
5. **შემოკლებული ლოცვანი** ანანიო და თორმეტი საუფლო ღვთის ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >

### 2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. **დარიგება** საღმრთო სჯულის სწავლებასზე, რომელიც უწმ. სინოდსაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწეს სკოლებში—ფსი . . . 30 კ.
2. **იგივე დარიგება** საღმრთო სჯულის სწავლებელ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებს ნიშნებით—ფსი . . . 55 კ.
3. **დაწყებითი** გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებასზე, ფსი . . . 15 —
4. **ახლა** სასულიერო კონსისტორიათა წესდებულენა—ფსი . . . 40 კ.
5. **მღვდელთათვის** საიდუმლოების შესრულების

დროს საქარო სახელმძღვანელო წიგნი— ფსი ყლით . . . 20 კ.

6. **საქართველოს** საეკლესიო ისტორია ფსი 45 კ.

### 3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვასზე.

1. **ახლა** კარბადანი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, ლოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საეკლესიო რევენსაგან—ფსი . . . 1 მ.
2. **დარიგება** მხედველობის დაცვასა და თვალმკურნალობის მოვლასზე, ფსი . . . 10 —

### 4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. **მცხეთის ტაძარი** და წმად ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფსი . . . 25 კ.
2. **მელათის მონასტერი** და ცხოვრების აღწერილობა მკვთის დავით აღმაშენებ. . . 25 კ.
3. **შოი მულღის მონასტერი** და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შოისი . . . 5 კ.
4. **თაშვარ-მონაწ.** დავით და მონასტანიშვი და მოწამეთის მონასტარი.—ფსი . . . 5 კ.
5. **იგივე რუსულ ენაზე** . . . 10 კ.
6. **მარტვილის მონასტერი** . . . 2 კ.

### 5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. **ღვთის-მშობლის** დაბადება, სურათით . . . 2 —
2. **ძაძად** მიყენება ღვთის მშობლისა, ფ. . . 2 —
3. **ამაღლება** პატრიარქისა და ცხოველს-მკოფედისა ჯვარისა, სურათით . . . 2 —
4. **შობა** უფლისა . . . 2 კ.
5. **მირძმა** უფლისა, სურათით.—ფსი . . . 2 —
6. **ხარება** ყოვლად წმიდა ღმრთის-მშობლისა . . . 2 —
7. **ბზობა** სურათით—ფსი . . . 2 —
8. **აღმგომბ** სურათით—ფსი . . . 2 —
9. **მიძინება** ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2 —
10. **ნელთქენელი** ხატის ისტორია . . . 3 კ.

**6. მოწამენი, ღირსნი მძანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:**

- 1. წმიდა მ-წამე რაფაელი, სურათით, ფასი . . . . . 5 კ.
- 2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი . . . . . 2—
- 3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . . . . . 5—
- 4. თამარ მეფე, სურათით . . . . . 5—
- 5. გიორგი მთაწმიდელი . . . . . 10—
- 6. იოანე ზედაზნელი . . . . . 5—
- 7. შუშანიკი . . . . . 3—
- 8. ქეფან დედოფალი . . . . . 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი . . . . . 5—
- 10. მეფე დავით III აღმაშენებელი . . . . . 5—
- 1. იგივე ვრცელი . . . . . 15 »

**7. რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები და სასურბები:**

- 1. წმიდანი გიორგი-მთაბარანი: ბასილი დიდი, ბრიგორი ლეთის-მეტყველი და იოანე მოქრამიკი, სურათებით—ფასი . . . . . 5—
- 2. როგორ უნდა ემარხულოდღეთ—ფასი . . . . . 3—
- 3. ცხოვრება წმ. გიორგის სწორის დიდის მთაბარის ვლადიმირისა . . . . . 2—
- 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი . . . . . 5—
- 5. სიკდილი მართლისა, კონტოპილიკალა-ტას მძულლის წერილი . . . . . 5—
- 6. ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარს შესწავლა იგნო ქრისტესი . . . . . 3—
- 7. შეილების ზოგადეობა მშობელთადმი . . . . . 3—
- 8. მშობლების მოვალეობა შეილთადმი . . . . . 3—
- 9. ეინ არიან ჩენი ცხოვრების მტერი და როგორ უნდა ეღლიათ მათ . . . . . 3—
- 10. იუნჯებლთ სუნჯესა ცათაშინა . . . . . 3—
- 11. საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . . . 3—
- 12. — ზრომაზე . . . . . 3—
- 13. სამგვარი სიკვდილი . . . . . 5 »

**8. მოთხრობანი დაბადებიდან.**

- 1. მამე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. . . . . 5—
- 2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. . . . . 5—
- 3. სიბრძნე ი.ო. ძისა ზირაქისა, სურათით. . . . . 5—
- 4. იოსები . . . . . 5—

**სატები და მსატეობანი.**

იმეკონებთან პატარა იაფ-ფასიანი-სატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. სატები არი-მატხოვრის, ივერის ღვთს-მშობლი, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა დეათ თორმეტთა დღესასწაულთა. ეინც დანიარებს ხა რებს არა ნაკლებ ოცუას, იმათ ჩენს საქართლო-ში ყველგან ფოტის გასავზენი არა გარდახდებამასთან იმეკონება სველ ქალღმერთ ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებლისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მამამერი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თათოსი 5 კ. ეინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმისა, მს მანეთზე დავითობა 30 კ. ეინც ორ კაპიკან წიგნაკებს და იარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასავზანს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაიკილი სატები ფერკალეული ლათონისა, სახელობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინეს, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ეინც ასს დანიარებს ნალ ფულზე, მას გავზენით დავითობა. სამ მან. ესეთი იმეკონებთან ვერცლიასაც, ფასი 40 კა

**11. მსატეობანი სსს. და სავრო მოღვაწეთა.**

- 1. შოთა რუსთაველი . . . . . 25 კ.
  - 2. აკაკი წერეთელი . . . . . 25 კ.
  - 3. თამარ მეფე . . . . . 25 კ.
- იმეკონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

**ქუთაისში  
ს. გ. ბ. თოთყურაის  
ს ა ა ვ ა დ ე უ ო ფ ო უ ი,**

რომელიც იმეოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაკან, ნერვებისა, სახორურგო, დედათა და თვალთა ავადმყოფობათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამღების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

## სასარგებლო ცნობანი

მიმოსვლა რეინის გზის მატარებლებსა.

15 ოქტომბრიდან 15 მასამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი — ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქას:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყაბსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მასაღლეფსა და პორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან ბაზოღის:

ბაქა-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაზნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.).

გ) ბაზოღიდან ბაზოღის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან ბაზოღის:

ბაქა-ტფილისისაკენ:—ლაშის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ლამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაზნისაკენ:—ლაშის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან ბაზოღის:

ბოან-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედიას-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედიას-ბაქამდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.), და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

ყვირილიში მოღის ბათუმიდან:

ფოსტის მატარებელი ნაშუადღევს 4 საათსა და 18 წამზე.

სახალხო მატარებელი—ნაშუადღევს 2 საათსა და 18 წამზე.

საგარაკო მატარებელი მოღის ქუთაისიდან და ბათუმიდან დილის 6 საათსა და 6 წამზე.

საღამოით—5 საათსა და 28 წამზე.

გადის ყვირილიდან ფოსტის მატარებელი ნაშუადღევს 3 საათსა და 30 წამზე.

სახალხო—საღამოით 4 საათსა და 25 წამზე.

საგარაკო—დილით 7 საათსა და 8 წ.

საღამოით—7 საათსა და 20 წ.

## დ. სარგებელი

განსაზღვრული სერვი ჯინჯვალაშვილი ანსაზღვის ქართულს გლოვას

წესებების საშუალებით.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიბარბაზრო განმარტობა: ეკლესიაში კითხვის შესახებ.—უწმ. სინოდის ქონებრივი მართელობისაგან.—მეტრიკული წიგნის წარმოების შესახებ.—პასუხად კითხვისა... (ლექსი). თ.ღი როსტომ-გუშა ჩიჭოვანი.—ნეტარ არს კაცი (ლექსი), მისივე.—ახლად გამოსულს სამწერლად ასპარეზზედ (ლექსი), ეგვიპარონი.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.—ფურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

—განცხადება.

—სასარგებლო ცნობანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლაშაშვიდი.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою 16 ноября 1902 г.

Типог. редакції журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.